

ივერლები თფილისში

გ. წყალტუბელისა

გამოცემა

ექვთიმე ხელაძის სახელით

აქ სად მოსულხარ? რაჯ დაჭკარე და რაჯ დასტოვე?
მის მაგიერი თფილისშია აბა რა ჭნოვე?

თფილისი

ექვთიმე ხელაძის სახელით

1878



იხვეწლები თბილისში

ბ. წყალტუბელისა

გამოცემა

მძვთიმე ხელახლისაგან

38116

Handwritten red scribble



თბილისი

მქეთიმე ხელაძის სტამბა.

1878

*Дозволено Цензурою.
Тифлисъ, 15-го Марта 1878 года.*

იმერლები თფილისში.

აქ სად მოსულხარ? რაჯ დაგარგე და რაჯ დასტოვე,
მის მაგიერი თფილისშია აბა რა ჭპოვე?

იმ წასრულ დროში, როცა ჩვენში ბატონ-
ყმობა ანუ მონება ჯერ კიდევ შეურყეველად
სუფევდა და გლეხები თავად-აზნაურების სა-
კუთრებას შეადგენდნენ, იმერთში, როგორც
სხვაგან, ზოგიერთ ბატონებს ძრიელ უყვარდათ
ხოლმე თავიანთ ყმების და მსახურების ცემა
და წვალება მრავალი სხვა და სხვა გვარი საშ-
ვალებით: ხან ხელითა სცემდნენ, ხან ჯო-
ხით, ხან ყველას იხმარდნენ; ხან კიდევ ყველა
ამასაც არ აკმარებდნენ და, შემდეგ ცემა-ტყე-
პისა, ან ხელ-ფეხს შაუკრავდნენ, რომ არსად
გაქცევოდათ, ან ხეზე მიაკრავდნენ, ან ბედელ-
ში ჩასომდნენ უჭმელ-უსმელად რამდენიმე ხანს,
სანამ არ შეფიცებდნენ, რომ არსად გავიქცე-
ვითო და სხვ. ბოლოს, თუ ეს საშვალეობა
არ იკმარებდა, ურჩი მსახურების დასამშვი-

დებლად და ჭკუის სასწავლებელად, მაშინ აიყ-
ვანდნენ და პირუტყვივით მიყიდიდნენ იმათ
ვისმე შორებელს და მათს სახლ-კარსა და საც-
ხოვრებელს სულ დააპატრონდებოდნენ. ზევრი
გლახთაგანი სიკვდილამდის ითმენდნენ ამ
გვარ მტარვალობას თავიანთი პატრონებიდგან;
მაგრამ ზოგიერთნი კი მათგანი, უფრო თავ-
მოყვარე და გამბედავი ბიჭები, ვერ უძლებ-
დნენ მას და ამიტომ ხშირად მიატოვებდნენ
თავიანთ სამშობლო ადგილებს და გადავარ-
დებოდნენ, რომ ამ გვართ როგორმე დაელ-
წიათ თავი ბატონების წვალებისაგან. მაგრამ
თვით იმერეთშივე კი ძნელად შეეძლოთ იმათ
სადმე დაფარულად ჰყოფნა და ცხოვრება, რად-
განაც მათი უსაქმო ბატონები მაშინვე შაულდ-
გებოდნენ იმათ კითხვასა და ძებნას და, თუ
იპოვნიდნენ, ძრიელ ძვირად დაუსვამდნენ იმათ
თავისუფლობის მოყვარეობას. ამას გარდა იმე-
რეთში გაქცეულ და გადავარდნილ გლეხს
ძნელად ვინმე დაიჭერდა და მისცემდა ბინას,
რადგანაც ამისთვის იგინი პასუხის მგებელი
შაიქნებოდნენ დამალული გლეხის პატრონის
წინაშე. ამ მიზეზების გამო დიდი ხანია რაც
ზოგიერთმა, უფრო გამბედავმა იმერელმა ბი-
ჭებმა, იწყეს ოჟილისის გუბერნიაში გადმო-

ვარდნა თავის დასამალავად თავიანთი მტარ-
ვალი ბატონებისაგან.

პირველად რასაკვირველია ადვილი გასაბე-
დავი საქმე არ იყო მათთვის თავიანთ მშობ-
ლებისა და სამშობლო კუთხის მიტოება და
ასე შორს და მათთვის უცნობ ადგილს გად-
მოვარდნა, მაგრამ იმათ მაგიერათ ამ შემთხვე-
ვაში ამხნევებდათ ის იმედი, რომ, რა კი ისინი
კორტოხსა (ლიხის მთას) გადმოსცილდებოდ-
ნენ, შეეძლოთ უშიშრად ცხოვრება. ეს მიტომ,
რომ თითქმის ამ უკანასკნელ დრომდის იმერ-
ლებს გასაკვირი წარმოადგენა ჰქონდათ ოფი-
ლისზე და საზოგადოთ ოფილისის გუბერნია-
ზე, და ამიტომ ისინი იმათ, ვინც კი აქეთ
გადმოვარდებოდა, „დაკარგულს“ ეძახოდნენ და
მდევარი, ანუ მძებნელი ძვირად გამოუდგებო-
და ხოლმე უკან.

ზადმოვარდნილი იმერელი ბიჭები ოფილის-
ში და ოფილისის გუბერნიაში სცხოვრებდნენ
პირველად ავად იყო თუ კარგათ რამდენიმე
წლის განმავლობაში მოჯამაგირებად, სანამ
თავიანთ მწვალელების სიკვდილს არ შაიტ-
ყოზდნენ და ან „დროთა ვითარებანი“ არ გაუქ-
რობდათ იმათ გულში ჯავრს. ბევრჯელ ისე
მოხდებოდა ხოლმე, რომ, როცა გადავარ-

დნილი კაცის მობრუნებაზე და სიცოცხლეზედაც იმედს დაკარგავდნენ მისი მშობლები და ბატონებიც, ის მოულოდნელად, ათის ანუ თუთხმეტი წლის უკან, დაბრუნდებოდა თავის სახლში, რასაკვირველია, ბევრ ნაირად გამოცვლილი. რაღა თქმა უნდა, რომ იმას ყველანი მისი ნათესაეები და მახლობლები სიხარულით და გაკვირვებით მიეგებებოდნენ და გამოკითხავდნენ ყველაფერს. ისიც, ცხადია, როგორც ყველა გაუნათლებელი კაცი, გაზვიადებით უანბობდა თავიანთ ნათესაეებს და ნაცნობებს თავის მოგზაურობაზე, ყოფნაზე და შემთხვევაზე ოფილისის გუბერნიაში, აქაურ მცხოვრებლებზე, მათ ზნეზე და ჩვეულებაზე, და ამ გვართ დიდი გავლენაც ჰქონდა მსმენელებზე. ამას რომ ისიც დაუმატოთ, თუ როგორი ჩაცმული, დაიარაღებული და, ერთი სიტყვით, გამოწყობილი ბრუნდებოდნენ ისინი უკან—იმერეთში, მაშინ, როდესაც იქედგან თითქმის ტიტვლები გადმოვარდებოდნენ ხოლმე, მაშინ ცხადათ წარმოვიდგენთ იმას, თუ რაგვარ შთაბეჭდილებას მოახდენდნენ იგინი თავიანთ ნაცნობებზე და ნამეტურ მათზე, რომელთაც ექნებოდათ გულში დამალოული სურვილი თავიანთ ბატონების ხელიდგან დაღწევისა და გადავარდნისა. და მართლაც განსა-

კუთრებით ამ გვარი სურვილის მქონე ახალგაზდა ბიჭები უმეგობრდებოდნენ ოფილისიდგან დაბრუნებულებს, დაწვრილებით გამოკითხავდნენ ყველაფერს, ბევრჯელ თავიანთ წაღილსაც გაანდობდნენ ხოლმე და, როცა ამ გვართ ანბავს კარგა შეიტყობდნენ და დაახელებდნენ, გამოიპარებოდნენ. ბევრჯელ ესეც მოხდებოდა, რომ, როცა ქალაქიდგან ჩამოსრულ გლესს ბატონი შევიწროებას დაუწყებდა, ის ხელახლავ გამოსწევდა ოფილისისაკენ და თან მრავალი ახალგაზდა გლესების შეილებს გამოიყოლიებდა.

ჯერ-ჯერობით მარტო გლესების შეილები ივლტოდნენ იმერეთიდგან ოფილისისაკენ, რადგანაც გარემოება იმათ უფრო იძულებულ ჰყოფდათ ამ შემთხვევაში. მაგრამ დროების განმავლობაში, როგორღაც თავად-აზნაურების შეილებსაც შეეპარათ გულში აქეთ წამოსვლის სურვილი. პირველად, ვგონებ, იმათ-ზედაც იმან იმოქმედა, რომ, როგორც ზევით ვსთქვით, ოფილისიდგან იმერეთში დაბრუნებული ბიჭები უმეტესად ისე გამოპრანჭული და ხანდისხან ფულიანიც ჩამოდრიოდნენ, რომ მათი ბატონების შეილები სიშურით უყურებდნენ იმათ, ბევრჯელ კიდევ უმეგობრდებო-

დენ და თვითონაც ნდომილობდნენ **თფილი-**
სისაკენ წამოსვლას ბედნიერების საძებნელად.
მაგრამ რადგანაც მშობლები, ცხადია, თანახმა
არ გაუხდებოდნენ, ამიტომ თითქმის ისინიც
იმ გვარადვე იპარებოდნენ, როგორც მათი
გლეხების შვილები; გარჩევა მხოლოდ იმაში
იყო, რომ პირველები ხშირად მოპარავდნენ
თავიანთ მშობლებს ცხენსა და უნაგერს და
ისე წამოვიდოდნენ ხოლმე. ამ გვართ კაიხა-
ნია დაიწყო იმერელი ახალგაზდების გადმოს-
ვლა **თფილისის** გუბერნიაში, რომელთ
რიცხვი თან და თან მატულობდა და ეხლა
ამ უკანასკნელ დროში ნამეტურ საკვირლად
განმრავლდა მხლა თქვენ **თფილისში** თით-
ქმის ისეთ მოსახლეს კაცს ვერ ნახავთ, რომელ-
საც კი მოსამსახურები ჰყავთ, რომლის ოჯახ-
ში ერთი და ორი ახალგაზდა იმერელი არ
მსახურებდეს; ხოლო იმ გვარ სახლებში კი,
როგორიც სასტუმროები, ტრაკტირები და
სხვა ამ გვარები არიან, ათობითა და ოცობი-
თაც იზოვით ხოლმე. ამათ შორის შეგიძლიათ
შეხედეთ თქვენ, როგორც გლეხების შვილებს,
ისე თავად-აზნაურების შვილებსაც.

II

რა უნდა იყოს ამის მიზეზი, რომ ამ უკანასკნელ დროში, განსაკუთრებით მას აქეთ, რაც ჩვენში ბატონ-ყმობა გათავდა, ამდენი ახალგაზდა იმერლები სტოებენ იმ ადგილებს, სადაც შობილან და აღზდილან პატარობიდამ და ივლტიან თფილისისაკენ ბედნიერების საძებნელად? ამის მიზეზი რასაკვირველია ბევრნაირია, მაგრამ უმთავრესნი, ჩემის ფიქრით, უნდა იყვნენ შემდეგნი:

იმერეთში, როგორც ვიცით, უმთავრესს და თითქმის განსაკუთრებითი საქმეს მცხოვრებლებისას შეადგენს მიწის მუშაობა, რომელსაც საზოგადოთ და განსაკუთრებით იმერეთში ბევრი და მძიმე შრომა უნდა. იმერეთში ნიადაგი, თუმცა ურიგო არ ირის, მაგრამ თუ რიგიანად არ შეიმუშავა კაცმა ისე არაფერს არ მოსცემს ის. ამას თანავე რადგანაც იმერლებმა, თავიანთ უმეცრებისა გამო რიგიანად შემუშავება და მოვლა მიწისა არ იციან, ამიტომ იგინი იძულებული არიან ხუთი ანუ ათი დღის მიწის ნაცვლად ოცი და ოცდა ათი დღის მიწა შეიმუშაონ თავიანთ თავის სარჩენად. ამითინ მუშაობაც უდიდდებათ, რადგან-

ნაც ცხადია უმფრო ბევრი ადგილის შემუშავებას უფრო ბევრი შრომა და მოვლაც უნდა. ამას გარდა იმერეთში ისეთ მცენარეებს სთესვენ და მოჰყავთ სარჩოდ, რომლებიც ძრიელ ძნელი მოსავლელი არიან. მაგ. სიმიდსა და ლომს, რომლებიც შეადგენენ უმთავრეს იმერლების სარჩოს, ბევრათ უფრო მომეტებული შემუშავება და მოვლა უნდებათ, ვიდრე სხვა ხვარბლეულ მცენარებს. აი ერთი სიტყვით რაედენი შრომა და მუშაობა უნდებათ იმერეთში ყანებს: იმერლები ჯერ გამოწვავენ ხოლმე საყანეს, მერმე გაჩეხენ და მოწმენდენ, შემდეგ შემოაკავებენ მაგარი ლობით ანუ ხსტით. მერე უნდა მოხნან ორგზის და დათესონ; როცა მცენარე ამოვა და ცოტა წამოიზრდება, მაშინ მის პირველ მოთოხნას შეუდგებიან, რომელსაც გამარგლას ეძახიან. ცოტა ხანს იქით კიდევ ხელმეორეთ უნდა გამოთოხნონ ანუ, როგორც იქ ეძახიან ხოლმე, უნდა გაამოროდონ. ბევრჯელ მესამეთაც გათოხნიან ხოლმე და ამას გაბოშვას უწოდებენ. შუკანასკნელ კიდევ, რომ მავნებელი მცენარეები არ დამწიფდნენ და თესლი არ ჩაყარონ საყანეში, ხელით მოთხრიან ხოლმე იმათ და გადაყრიან — ამას იმერეთში ყანის გაწმენდას ეძახიან. ამათ გარდა, როცა ყანა შემოვა, ისი-

ნი ნაყოფის მოწევას—გახმობას, შენახვას და ხალის მოჭრას შეუდგებიან, რომლებიც აგრეთვე დიდ შრომას ითხოვენ მუშაკისაგან. ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ ბევრჯელ ამდენი შრომა და ვაივაგლახი იმერელ მიწის მუშებს უქმად და უნაყოფოდ ჩაუვლისთ ხოლმე იქაური ჰაერის გადამკიდე. იმერეთში სარწყავი მიწები არ არიან და არც ჩვეულებათა აქვსთ იმერლებს ყანების მორწყვა. რაც უნდა გვაღვა იყვეს იმერლები ყანას არ, ანუ უკეთა ვსთქვათ,—ვერ მორწყვენ: ისინი მარად ცას შესცქერაინ და თუ მოვიდა თავ-თავის დროზე წვიმა კარგი, თუ არა და, გახმებიან და გაფუჭდებიან ხოლმე ყანები გვალვ-საგან. მაგრამ ეს კიდევ არაფელი: იმერეთში ქრის ზაფხულ და შემოდგომაზე ერთნაირი აღმოსავლეთის ქარი, რომელსაც იქ „ზენა ქარს“ ეძახიან ეს ქარი ბევრჯელ იმ დროს ამოვარდება, როცა ყანები სიმწიფეს დაიწყებენ და, რადგანაც ის ძრიელი და თბილია, სრულებით ბოლოს უღებს იმათ და ამ გვარად ამშვეს მცხოვრებლებს. ამიტომ ამ ქარის ისე ეშინიათ იმერელ მუშებს, როგორც თავ დამცევი და ამკლები მტრების. ეს მავნებელი და დამაქცეველი ქარი იმერეთში თან-და-თან უფრო ხშირდება, ძრიელდება, რადგანაც იმერე-

თის მცხოვრებლები, უმეცრებისა გამო, ტყეებს არ ზოგვენ და ადგილებს ამინდვრებენ, და სასოწარკვეთილებაში აგდებს აქაურ მიწის მუშა ხალხს.

16

ქარს გარდა ბევრჯელ დიდ ზარალს აძლევს იმერეთში მუშა ხალხს წვიმა: ხანდისხან, რაც უფრო საჭირო არის ყანებისათვის წვიმა, ის არ მოდის დროგამოშვებით, ასე რომ ორი და სამი თვე ისე გაივლის ხოლმე, რომ წვიმა არ მოდის და გვალვა ახმოებს ყანებს; ხანდისხან კი უდროოდ დროს ისე დაჟინებით მოდის, რომ ორი და სამი კვირის განმავლობაში არ შეწყდება ხოლმე და ძრიელ ვნებას აძლევს ყანებს.

ეს მიზეზები თითქმის საკმაოა, რომ გული აუყაროს იმერლებს მიწის კეთებაზე და შემუშავებაზე და სხვა რამ აძებნინოს თავის სარჩენლად; მაგრამ ამ მიზეზებს გარდა სხვა მიზეზებიც აქვს იმ სამწუხარო და სატირალ მოვლენას ჩვენ ცხოვრებაში, რომ ამდენი იმერელი ახალგაზდების ძალა ილუპება ტყუვილა უბრალოდ ოფილისში.

იმერლები, როგორც გაუნათლებელი ხალხი ცუდათ უცქერიან შრომას, იმათი ტყუი-

ლი ფიქრით, ვითომც, ზოგიერთი შრომა ამ-
ცირებს კაცის ღირსებას და ამიტომ ამ გვარ
შრომას ვითომც ყველა უნდა ერიდებოდეს,
ვისაც კი შეუძლია. ასეთ უცქერიდნენ და ეხ-
ლაც უცქერიან იგინი მაგ. მიწის მუშაობას.
სანამ ბატონ-ყმობა გადავარდებოდა ჩვენში,
მინამ იმერეთში მიწის მუშები თითქმის სულ
მდაბალი ხარისხის ხალხი — გლეხები იყვნენ.
ისინი მუშაობდნენ მიწას და მოყავდათ სარ-
ჩო თავიანთ თავისთვის და თავიანთ ბატონე-
ბის — თავად-აზნაურებისთვისაც. ეს უკანასკნე-
ლები კი ნადირობაში, სტუმრობაში და სა-
ზოგადოთ სხვა და სხვა გვარ უქმ და მავნე-
ბელ ქეიფებში ლევდნენ თავიანთ სიცოცხლე-
სა და ძალას. იმათვან ძნელათ ნახავდით უწინ
ისეთს, რომელიც მიწის მუშაობას კად-
რულობდნენ: არათუ ყმიანი მებატონეები, უყ-
მონიც კი უკადრისობდნენ ამ საქმეს და ნაც-
ვლად თავისა ქირობდნენ მოჯამაგირებს, თვი-
თონ კი ვისმე შეძლებულ თავადს ეახლებოდ-
ნენ და დაზღვევდნენ უკან ცხენებით. მაგრამ
ეს კიდევ არაფელია: იმერეთში ყველანი არც
გლეხები კადრულობდნენ მიწის მუშაობას.
იმერეთის მებატონეებში ძრიელ ბევრს ჰყავდა
ესრედ წოდებულნი, „აზატი“ ყმები, რომლე-
ბიც მიწის მუშაობას მაინც არ იკადრებდნენ,

რაც უნდა მოსლოდათ. იმათ მართებულობას ან მეჯინიბობა შეადგენდა, ან წევარ-მეძებრების მოვლა, ან ხაბაზობა და ან სხვა რამ ამ გვარი.

ამ გვარი შეხედულობის გამო იმერელ კაცს საზოგადოთ და განსაკუთრებით თავადაზნაურის შვილებს საშინლად ეთაკილებათ მიწის მუშაობა და ყოველ ღონისძიებასაც ხმარობენ დააღწიონ როგორმე თავი ამ გვარ, მათი ფიქრით, კაცის ღირსების დამამცირებელ შრომას. პი კიდე ერთი უმთავრესი მიზეზი რომ იმერელი ახალგაზდა ყმაწვილები ასე გულსმოდგინეთ მოეშურებიან მფილისისაკენ. ამ მიზეზებს შეიძლება ეს მოსაზრებაც დაუმატოთ კიდე, რომ იმერლები საზოგადოთ სუსტი და ნაზი აგებულებისანი არიან და ამიტომ იმათ ისეთი მძიმე საქმე, როგორიც მიწის მუშაობაა, ძრიელ ეძნელებათ.

ზოგიერთები ფიქრობენ კიდე ეითომც იმერლები ზარმაცები იყვნენ, შრომა და გარჯა ეზარებოდეთ და ამიტომ ტოვებდნენ თავიანთ სამშობლო ადგილებს, მაგრამ ეს ჰაზრები ვგონებ ტყუილი უნდა იყოს. ჩემის ფიქრით, რომ არას ადგილს დედამიწის ზურ-

გზე მაზე მეტ შრომას არ სწევს საბრალო მიწის მუშაკი, რამდენსაც იმერეთში, რომ მასთან ცოდნაც ჰქონდესთ, ამას ადვილათ გაიგებს მკითხველი ჩემ მიერ ზემოთ მოყვანილ ყანის მოვლის აღწერისაგან იმერეთში. რომ იმერლები ზარმაცები არ არიან, ამას თვით ის იმერლებიც გვიმტკიცებენ, რომელნიც თფილისში ჩამოსულან ბედნიერების საძებნელად, მაგრამ ბედნიერების ნაცვლად ყოველ ნაირ წვალებასა და დამდაბლებას ითმენენ ხოლმე.

შესაძლებელი იყო ეფიქრა კაცს, რომ, როცა ჩვენში ბატონ-ყმობა მოისპობოდა და გლეხები ბატონების მტარვალობისაგან განთავისუფლდებოდნენ, მაშინ მოიკლებდა იმერლების რიცხვი თფილისში და შეწყდებოდა იმათი აქეთ ლტოლვილება, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენ სულ წინააღმდეგსა ვხედავთ. როცა თფილისისკენ ლტოლვას დაჩვეულმა იმერელმა ახალგაზდა გლეხმა ბიჭებმა თავისუფლება მიიღეს, მის ნიცვლად, რომ თავიანთ მშობლების სახლში დამდგარიყვნენ, რადგანაც აღარავინ აწუხებდათ, ეშრომათ და ოჯახობისთვის მოველოთ ხელი, იმათ ისარგებლეს ამ თავისუფლებით, დაუბრკოლებლად იღებენ ბილეთებს მამასახლისებისაგან და შეუწყვიტლად

მოდიან **თ.** ქალაქში, სადაც იმათ, თავიანთ ფიქრით, თითქო დიდი ბედნიერება ელოდესთ. რაც თავად-აზნაურების შვილების **თ**ფილისისკენ ლტოლვილების გახშირებას შეეხება, ესაი რით აიხსნება: გლეხების განთავისუფლების შემდეგ ჩვენში თავად-აზნაურების ცხოვრების პარობები სრულებით შეიცვალნენ. ისინი იყვნენ დაჩვეულნი, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, მუქთად ცხოვრებასა და ქეიფებს თავიანთ ყმების ნაღვაწით და აძიტომ არავითარი შრომისთვის არ ემზადებოდნენ, რადგანაც ფიქრობდნენ, რომ ყოველთვის უშრომელად და უზრუნველად დარჩებოდნენ. მაგრამ, გლეხების განთავისუფლებისა გამო, მათ ცხოვრებაში ისეთი ცვლილება მოხდა ერთბაშით, რომ უშრომელად მათი ცხოვრება შეუძლებელი შეიქნა. ამ გვარმა მოულოდნელმა ცვლილებამ რასაკვირველია ყველანი ჩააფიქრა, როგორც ძველი თაობა, ისე ახალიც. მაგრამ ძველი თაობა, თუმცა პირველად ყოველად შეუძლებელი ეგონა მას უყმოდ ცხოვრება და რჩენა, შეურიგდა თავის ბედს და ცხოვრობს, ავით არის თუ კარგათ, კიდე უშრომელად — იმ უსამართლო შემოსავლისაგან, რომელსაც იღებს ის ჯერ კიდე განთავისუფლებული გლეხებისაგან. ახლმა შთამომავლო-

ზამ კი რა უნდა ქმნას? ისინი არას მხრით არ მოუშზადებიანთ თავიანთ მშობლებს ცხოვრებისათვის, რადგანაც ფიქრობდნენ, რომ იმათ შვილების ბელი არ შაიცვლებოდა და ისინიც ისე უზრუნველად და უშრომელად იცხოვრებდნენ ქვეყანაზე, როგორც თვითონ ცხოვრობდნენ. მიწის მუშაობა და იმათი თავის რჩენა არ იციან და არც კადრულობენ ახალგაზდა თავად-აზნაურები, რადგანაც იგინი პატარაობადამ მიჩვეულან სინაზეს, ტყუევილად ყოფნას, ამპარტავენებას და თავ მოწონებას, სხვა საქმისთვისაც შომზადებული არ არიან, როგორც ესთქვიით. ამ გვარ მდგომარეობაში იგინი ამჯობინებენ თავიანთ სამშობლო ადგილების მიტოებას, **თფილისის** გუბერნიაში გადმოსვლას, სადაც თავიანთი ნათესაეებისა და ნაცნობების თვალი არ ხედავთ იმათ, და აქ საქმის ძებნასა და შრომას.

ჩვენ ცხადათ დაინახავდით იმას, თუ რა საშინლათ შოიმატა ამ უკანასკნელ დროში იმერელი ახალგაზდების რიცხვა **თფილისში** და **თფილისის** გუბერნიაში, რომ გვექონდეს იმაზე სტატისტიკური ცნობა, მაგრამ, სამწუხაროდ ჯერ ამ გვარი არაფელი გვაქვს. მე ბევრი ვეცადე შემეტყო როგორმე **თფილის-**

ში მყოფი იმერლების რიცხვი მაინც, მაგრამ ამის შეტყობაც შეუქლებელი აღმოჩნდა, რადგანაც აქაურ ქალაქის სამართველოში ვერ ვიპოვე იმათზე ვერა ვითარი ცნობა. საქმის მცოდნეებმა კი, რომლებსაც მე მივმართე ამ საქმისთვის, თუმც საბუთიანი ცნობა ვერ მომიცეს, მაგრამ სიტყვით კი მარწმუნებდნენ, რომ ვითომც მართლ იმერელი მოსამსახურე ბიჭების რიცხვი ოფილისში უნდა აღიოდეს ოცდაათი ათას სულამდის. ჩვენ რომ ამ რიცხვის ნახევარი მივიღოთ მართლ სიმართლედ და ზედ იმ იმერლების რიცხვიც დაუმატოთ, რომლებიც ოფილისში მეკურტნებათ და ოფილისის გარეთ, განსაკუთრებით ძახეთში, მებაღებად და მოსამსახურებად არიან ოფილისის გუბერნიის თავადებთან, მაშინ ადვილათ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ იმ იმერლების სიმრავლე, რომლებსაც მიუტოვებიათ თავიანთი ქვეყანა და წამოსულან ოფილისის გუბერნიაში.

III

მხლა გავშინჯოთ რა მდგომარეობაში არიან ოფილისში აქ გადმოსული იმერლები.

ახალგაზდა იმერლები, როცა ჩამოდინან ოჟი-
ლისში, რადგანაც არაფერი სხვა საქმისთვის
მომზადებული არ არიან, განსაკუთრებით მო-
სამსახურებად დგებიან აქაურ მცხოვრებლებ-
თან, რომელნიც ძრიელ უსინიდისოთ სარგებ-
ლობენ მათი შრომით. როცა მაგ. პატარა
იმერელი ბიჭები პირველად ჩამოვლენ ოჟი-
ლისში რასაკვირველია ხამები არიან, არც თე-
თონ გაეგებათ არაფელი აქაური და არც სხვა
პატრონი ვინმე ყავთ, რომ რიგიანი ბინა უშო-
ნოს და დააყენოს. ამიტომ იგინი, ჩამოვლენ
თუ არა, დაიწყებენ ქუჩა-ქუჩა სიარულს იმ
იმედით, რომ ვინმე მაღლიანი შეხვდეს და
დაიყენოს იგინი. აქაური ვაჭარი სომხები ერთი
შეხედვითვე იცნობენ ამგვარ ხამ ბიჭებს და
სიხარულით აიყვანენ, რადგანაც გამოცდილე-
ბით იციან, რომ ორ ანუ სამწელს სულ მუქ-
თად იმსახურებენ. ნახვენ თუ არა ესეთ ბი-
ჭებს, ისინი გამოვლანაპარაკებიან იმათ და და-
უწყებენ რწმუნებას, რომ მათ ჯერ არა ვითა-
რი სამსახური არ შეუძლიანთ და მარტო მჭამ-
ლებად იქნებიან იგინი მათ ოჯახში; შეპირ-
დებიან: გასმევთ, გაჭმევთ, და ტანთა-ფეხს
ჩაგაცმევთო და, როცა გამოიცდებით, ჯამა-
გირსაც მოგცემთო. რადგან სხვა გზა არ აქვთ
ახალ ჩამოსულ იმერლებს და კუჭიც უიმში-

ლით ეწვისთ, ისინი თანახმა ჰხდებიან და უდგებიან უჯამაგიროდ თავიანთ მომტყუებლებს ორი ანუ სამი წლის ვადით და ემსახურებიან იმათ. შინ იცის, რამდენ წვალებას და ცემატყეპას გამოივლის საწყალი პატარა იმერელი ამ ვადის გასვლამდის თავისი აღისა და მისი ცოლ-შვილის ხელში, ხოლო სამაგიეროდ ის ბიძებს მათგან ერთ გლახა ჩოხას, აღის შვილის გამონაცვალ ძველ წაღებს, ქუდს და სხვა ამგვარებს, სხვას კი ვერც ნივთიერად და ვერც ზნეობით ის იქ ვერას იძენს. როცა ამგვარად რამდენიმე წელს დაყოფენ იმერელი ბიჭები ობილისში და ცოტად ავსა და კარგსა გაიგებენ, მაშინ ისინი დაიწყებენ ჯამაგირიანი ადგილის ძებნას. მაგრამ აქაც უჩინდებიან მათ აღებად უმეტესად იგივე ვაჭარი სომხები თავიანთი ეშმაკობით, რომელნიც აქ სულ სხვა ნაირ ოინს ხმარობენ იმათ მოსატყუებლად. ამ შემთხვევაში იგინი იჭერენ იმერელ მოსამსახურეს წლობით და პირდებიან სამიდგან ხუთ თუმანამდის, მაგრამ ამასთან ჩამოართმევენ ისეთ პირობის ქალაღდს, რომ თუ იმათ რაიმე დააშაფეს და ისე არ ემსახურენ, როგორც რიგია, მაშინ მთელი წლის ჯამაგირზე უნდა ხელი აიღონ. რასაკვირველია ეს ძლიერ საძნელო პირობაა, მაგრამ რადგანაც უამი-

სოთ ბევრი არავინ დაიჭერს იმათ, ამიტომ ისინიც იძულებულნი არიან თანახმა გახდნენ. რაკი დადგებიან ამგვარად მოჯამაგირებად ოფილისელი იმერელი ბიჭები, ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რომ როგორმე ასიამოვნონ თავიანთ ალებს და ჯამაგირი არ დაკარგონ. ისინი არაფელ შრომას არ უკადრილობენ აქ: არც ლაქიობას, არც მზარეულობას (პოვრობას) არც მეჯინიბობას და არც სხვა ბევრ რასმეს. თავდაპირველად ალები თითქო კმაყოფილნი არიან იმათი; მაგრამ რაკი ვადის გასვლის დრო მოახლოვდება, ზოგიერთნი მათგანი განგებ დაიწყებენ შარების ძებნას, ყოველი უბრალო მიზეზისათვის ლანძღვენ და ბევრჯელ კიდევ სცემენ თავიანთ მოჯამაგირეებს იმ აზრით, რომ როგორმე მოთმინებიდგან გამოიყვანონ, თავიდგან მოიშორონ იგინი და ქირა შეირჩინონ. უკანასკნელები ძრიელ კარგა გრძნობენ თავიანთ დამცირებასა და საძაგელ მდგომარეობას, მაგრამ მეტი გზა არ არის, ყველაფერი უნდა მოითმინონ, რომ მთელი წლისნამსახურმა და შრომამ უქმად არ ჩაუაროსთ. ამგვარად ის იმერლები, რომელნიც თავიანთ სამშობლო ადგილს ისეთი ამპარტავანი და თავმოძუნე არიან, რომ „მწერს არ დაიჯენენ ხოლმე“, რო-

გორც იტყვიან ამგვარ პირებზე იმერეთში, ოფილისში ყოველ ნაირ შრომასა და დამცირებას იტანენ. მე თვითონ ვიყავი მოწამე თუ როგორ ერთ ახალგაზდა იმერელს, ისიც კარგი გვარის შვილს, სამჯელ სცემა თავის ხელით ერთმა სომხის ვაჭრის დედა-კაცმა ერთი კვირის განმავლობაში, ლანძღვა—გინებას ხომ რიცხვი არ ჰქონდა; მაგრამ ის საწყალი იმერელი ყველა ამანებს ითმენდა და ვერც შორდებოდა თავის აღას ვადის გასვლამდის. მაგრამ მაშინაც, როცა ამგვარი პირუტყული მოთმინებით გაათავებენ იმერელი მოსამსახურე ბიჭები თავიანთ ვადას, საეჭვოა, რომ რამე გამოიტანონ იმათ თავიანთ აღებიდგან, ამიტომ რომ, რადგანაც იგინი ლანძღვით, გინებით და ცემა-ტყევით ვერას გახდებიან, მაშინ სხვა საშვალებას მოიხმარებენ ხოლმე: მოყვებიან და ერთს ორად იანგარიშებენ ყველაფერს, რაც კი რამ ან გატეხიათ და ან წახდენიათ ოჯახში მთელი წლის განმავლობაში და ყველას თავიანთი მოსამსახურეებს გამოურიცხვენ ხოლმე ჯამაგირიდგან, ისთე რომ ბევრჯელ ოთხი და ხუთი თუმნის ნაცვლად ხუთ მანეთსაც ვერ გამოიტანენ თავიანთ აღებიდგან. აი ამ გვარია ახალგაზდა იმერლების მდგომარეობა ოფილისში. იქნება ბევრმა არც

კი დაიჯეროს ეს ანბავი, მაგრამ ამ სიტყვების დამწერი თვით ყოფილა მრავალი ზემოთ აღწერილი ფაქტების მსგავსი მაგალითების მოწამე.

მხლა ჩვენ ყველა ესენი მხედველობაში ვიქონიოთ და შევადაროთ ეხლანდელი მდგომარეობა ზოგიერთი იმერლებისა ოფილისში უწინდელ მდგომარეობას, ცხადათ დავინახავთ, რომ ამათი ეხლანდელი მდგომარეობა ბევრათ აღარ განიჩქევა იმ მდგომარეობიდან, რომელშიაც იმყოფებოდნენ საბატონო იმერლები უწინდელ დროებაში...

ვისაც კარგათ ესმის რაგვარი ურთიერთობა არსებობს საზოგადოთმქირავებლებისა და ქირაჯებს შორის, იმას რასაკვირველია უცხოდ და შეუძლებელად არ ეჩვენება ჩვენი ნათქვამი იმერელი ბიჭების ეხლანდელ მდგომარეობაზე ოფილისში.

ჩვენ აქ შევადარეთ ოფილისში მყოფი იმერელი გლეხის შვილების სამწუხარო ეხლანდელი მდგომარეობა უწინდელ მათ მდგომარეობას; მაგრამ სამწუხარო და საკვირველიც კიდე უფრო ის არის, რომ სრულიად ამგვარივე მდგომარეობაში იმყოფებიან ოფილისში ეხლა მრავალი იმერეთის თავად-აზნაურების

შვილები, რომელნიც თავიანთ მშობლების სახლში არაფელის გაკეთებას არ კადრულობენ. ცხადია, რომ, თუ იმნაირად, როგორც იგინი ოფილისში ირჯებიან და შრომობენ, თავიანთ სახლში ეშრომათ, ბევრათ უფრო ბედნიერები იქნებოდენ, ვიდრე ესლა არიან ოფილისში.

ამ უკანასკნელ დრომდის, სანამ იმერელი ახალგაზდა ბიჭების რიცხვი ასე ძრიელ არ მოიმატებდა ოფილისში, იმათ არ უძნელდებოდათ ადგილის შოვნა და, ავით იყო თუ კარგად, თავის თავს მაინც ინახავდნენ და იცვამდნენ. მაგრამ ესლა კი, სიმრავლისა გამო, ბევრი მათგანი რჩებიან უადგილოდ, არათუ თვეობით, არამედ წლობითაც. ამისგამო, მოგებისა და შოვნის ნაცვლად, მრავალი მათგანი იძულებული არიან აიღონ თავიანთ ნაცნობი მეღუქნეებისა და მეპურეებისაგან ნისი-ათ საზრდო, რადგანაც სხვა სახსარი ცხოვრებისა აღარ აქვს და ამგვარად ვარდებიან ვალეებში. რამდენი უადგილო ახალგაზდა იმერლები დაეხეტებიან ოფილისში ამას ადვილად შენიშნავენ ის, ვისაც უდევნებია თვალ-ყური იმათთვის იმ ადგილებზე, სადაც იგინი იკრიბებიან იმ აზრით, რომ იქნება ვინმე მსურ-

ველი გამოჩნდეს და დაიჭიროს იგინი. ამგვარი მდგომარეობის შედეგი ცხადია ზნეობით და ფიზიკური მხრითაც. საზოგადოთაც რომ ვსთქვათ ის მოსამსახურე იმერლები, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, ძრიელ წამხდარნი და დაცემულნი არიან, როგორც ვიხსენებთ, ისრე ზნეობით. როცა იგინი იმერეთიდგან ჩამოდიან თფილისში, პირველად სასიამოვნოა იმათი ნახვა, ისეთი ცოცხალი, გამომეტყველი და უმანკო სახე აქვსთ; მაგრამ, რაკი რადენიმე ხანს დაჰყოფენ თფილისში, სულ სხვაფერდებიან. ეს, რასაკვირველია, დამოკიდებულია იმ მდგომარეობაზე, რომელშიაც იგინი იმყოფებიან. რადგანაც იმათ ზოგიერთნი ადები უსამართლოდ ეპყრიებიან, ისინიც ადებს არ ზოგვენ. ამგვარი ურთიერთობისა გამო მათ შორის, უკანასკნელები დაჩვეულან ჩურდობას და ისე გაფრცელებულა და გაძლიერებულა ეს ცუდი ჩვეულება მათ შორის, რომ ძნელად შეიძლება, მათ რამე იყიდონ თავის აღის ოჯახში ისე, რომ ცოტას მაინც არ ჩამორჩნენ. ერთი ეს მიზეზიც არის, რომ იმერელი მოსამსახურეები თფილისში სულ თანდათან კარგვენ რწმუნებასა და ადგილის შიშინა უძნელდებათ. თავიანთ ადების ოჯახში დილიდგან დაწყებული სადილობამდის, სა-

ნამ მათი ალები არ მოისვენებენ, სულ ჯაფაში არიან; როცა საქმეს მოჩჩებთან, მაშინ გამოვლენ ქუჩებზე ან ბაღში, შაიყრიან თავს რამდენიმენი ერთად და სალამომდის ლაზღანდარობისა და მასხარობის მეტს არაფერს არ აკეთებენ. სალამოთი ისევ თავიანთ ალების სახლში დაბრუნდებიან და მათ სამსახურს შაუდგებიან. ამგვარად მიმდინარეობს ყოველ დღეს მათი სიცოცხლე. სწავლისა და კეთილ შექმენისათვის არც ერთი მათგანი არც თვითონ ზრუნავს და არც გარემოებანი აძლევენ ნებას, რომ იზრუნონ.—

ამას გარდა ბევრი მათგანი, რომელსაც კი ცოტა რამ მოხერხება აქვსთ, ეჩვევიან ქალაქის თამაშობას, ღვინის სმას და მრავალ სხვა მავნებელ და კაცის გამრყენელ საქმეებს. აქედან ზოგნი მათგანი ისეთ ჭირსა და სენს გადაატყდებიან ხოლმე, რომელიც სამიღლეშიოდ უღებს იმათ ბოლოს. ავამთყოფობის დროს ესენი, როგორც უმეცარი პირები, თავისდღეში არ მიმართვენ ნამდვილ ექიმებს და არც სამოქალაქო საავათმყოფოში (ლაზარეთში) შედიან. ექიმების ნაცვლად ისინი ბებერ დედაკაცებთან მდიან, რომელნიც იმათ ექიმებად მიაჩნიათ და მამასისხლად ყიდულობენ

მათგან, ბევრჯელ უფრო მავნებელ, ვიდრე მარგებელ, წამალს. ერთმა ქალაქის ბებერმა დედა-კაცმა ერთ საწყალ ავათმყოფ იმერელს ორ სტაქან რალაც ღვინოში გახეხილ წამალში ხუთმეტი მანეთი გადაახდევია და ამასთან სანამ ფული არ გამოართვა, მანამ გალესილი წამლის დაღვევის ნება არ მისცა. ეს დედა-კაცი არწმუნებდა თურმე იმ უმეცარ იმერელს, რომ ღვინოში მარგალიტი არის გალესილიო. ალბათ იმანაც დაიჯერა, რომ თუმან ნახევარი მისცა ორ სტაქან მღვრიე ღვინოში, მაშინ როდესაც ღვინო წამლისთვის თვითონ მას მოატანია თურმე იმ დედა-კაცმა, მაგრამ ორი სტაქანი კი არა,—სამი თუნგი კარგი წითელი ღვინო. ლაზარეთში წოლას ავათმყოფი იმერლები თფილისში ბნელ და ნოტიოსარდაფებში წოლას ამჯობინებენ თავიანთ ნაცნობებთან და ყველა ამ მიზეზებისა გამო იხოცებიან უანგარიშოთ.

როგორც ზევითა ვსთქვით, იმერლების ხელობას თფილისში შეადგენენ უმეტესად ფარეშობა (ლაქიობა) და მზარეულობა. ამას გარდა ბევრი რაჭველებთაგანი მეკურტნებად არიან. ლაქიებისა და მზარეულების მდგომარეობა თფილისში ჩვენ ზემოთ აღვსწერეთ,

რაც შეეხება მეკურტნეების, ანუ როგორც ოფილისში ეძახიან იმათ, მუშების მდგომარეობას, ჩვენ აქ მოვიყვანთ ჩვენი ესლანდელი ნიჭიერი პოეტის სიტყვებს, რომელმაც მშვენიერად გამოხატა თავის ლექსში მეკურტნის ბედის სურათი.

მ უ შ ა .

„Въ трудѣ проходить жизнь его
И не приносить ничего.“

I.

გოლვიან დღესა ტფილისშია შუახაზრისკენ
მე ჩამივლია. ჩემო მუშავ! მინახვიხარ შენ,
კედელთან მწალი, მსურვალე მზე ზედ დაგუერებდა;
ჩუმი ღიღანი შენი ხშირად გულის მიწულულებდა.
ნაღვლიან ხმაში სულ ისმოდა შენი ცხოვრება:
დდიურ ჯუგმისთვის ტანჯვა, შრომა და მწუსარება.
ვინა ხარ შენა, ჩემო ძმა? სიღამ მოსულხარ?
ბატონის მათრახს ვერ გაუძელ, გამოქცეულხარ,
მოშორებულხარ ჯალაბობას, შენსა სახლგარსსა,
მინდოდას მამეულს და შეჩვეულს მიწასა, წყალსა?

თუ უნებლიეთ გადმოგტყუარცნა მუხთანა ბედმა,
ან მოგიტაცა სხვა კაცზედა მარტივ იმედმა?
აქსად მოსუღხნარ?... რაც დაჭკარგე და რაც დასტოვე,
მის მაგიერი ტფილისშია აბა ჭზოვე?..

II.

აი ტვირთ-ქვეშა მოკაგუღხნარ, საბრალვე, შენა!
ოფლი წურწურით ვატოასან შუბლით გაღვრება,
შეგუბებულის სულის ასმის დაღლილი ქშენა;
მისვალ, საწყალო, ტომარის ქვეშ მუხლთ-გაგატება!...
ვინ შეგიბრალვებს! . აგერ მოჭქრის დიდკატის დროშვა,
შენს ვიზდავირა იგი მორბის დაუღვენელად,
აგერ წამოგწვდა, დაგვეხა, — და, რეგორც კოკა,
შენ — გერძო ღვთისა არ დაგინდო დასამსხრეველად.
შენ გარდიქეცი ტომარითურთ, და გამელ სალხმა
მაგ შენ ყოფაზედ იწყო უგრძნოდ მალდა ხარხარი...
რაცც მაშინ გრძნობდი, ყოველი ჭსთქვა შენ მწუნარ თვა-
შენს დუმილშია იყო ღვთისა რისხვისა ზარი... [ლმა,
იმაგ დუმილით მისველ, წევა დაუწეე ტვირთსა:
მარღვნი გაღურდნენ შენს სახეზედ, თითქო ჭსქდე-
ჭსწევე, ვერ ეწევი, -- გეკარგება შენ საზღო დღისა.. [ბიან,
სალხი გიყურებს და არავინ არა გშეკვიან!..

III.

აჭა მისკედი, მიუტანე ტვირთი პატრონსა,
რუსულ ფანჯრის კალთით შუბლზედ იწმენდავ რაფლსა,
განივრად იპირის დიდი მკერდი სიგრილეშია;
იტდი, საწყალა!—შენი ლუკმა იმის ხელშია!...
სშირად ამ ლუკმის მთლად მოტყემატ იმას შენთვის შურს
სშირად ფასს გიკლებს, შიშველს, მშიერს, მწუფ-
რვალს, უბედურს...

რუ მიტეს ლუკმას, ეუბნები: „ღმერთსაც შეხედე!...
მე ეგე ლუკმა პირუტყესავით ზურგით ვიყიდე.“
შენ უღონო ხარ... და უღონოსა კაცი იბრეკებს,
მდიდანს მეტს მისტემს, შენ კი გრემზედ შეგეკვარება;
ვისაც არ უჭირს, მას გაძდობს, — და შენ დაგიკლებს,
შენ, რამელსაცა ერთის გრემით დღე გეძატება.
ეგრეთ დასჯილი უსამართლად ბეგრჯერ წამოხვალ
და, თუ დაღამდა, თავთ-დაიდებ ერთგულ გურტანსა
დასადმე ქებზედ მიეგდები, იმ ფიქრით, რამ ხვალ
ისეკ ამრიგად განაგრძელებ უღკთო შრომასა.

IV.

შენ სიტლისლეს დაღამებ ესრეთს შრომაში,
კაცი კატურად ვერ იტოვსლებ ვერც ერთსა დღესა..

მერე ვინ იცის, რომელ ქოხში, რომელ სარდაფში
დაუწყებ ბრძოლას სასიკვდილოდ მოსულსა სენსა.
მარტო ეგლები და ლეიბად გექნება ნამჯა,
და სახურავად, თუ ვი მოგევა, რუსის ფარჯა!...
მარტო იცოცხლებ და მარტოცა, ძმაო, მოჭკვლები
ჯადაბი შენი ვერ დაგასხამს მღუღარე ტრემლსა,
ან დაგტირებენ ზატარები შენი შვილები,
ამოდ მათგენ სიკვდილის უამს გაიწვდი სკლსა.
მოჭკვლები და მსწრადელ ჩაგტედამენ საკაცეშია,
უტრემლად, ძმაო, ჩაგიშეებენ სამარეშია!
ეგრეთ უბრალოდ გაფუტლები,—და ჩვენ ხსოვნასა
აწაფენი ან მოაგონებს შენს «აქ» ყოფნასა.

12 ივლისს 1860 წ.

ჩასაკვირველია ბევრი ზემოთ აღწერილ
მდგომარეობაში მყოფი იმერელთაგანი ამჯო-
ბინებენ ეხლა თავიანთ ოჯახში ყოფნასა და
შრომას, და, ვინ იცის, იქნება დაბრუნებაც
ბევრს სურდეს, მაგრამ, რადგანაც იმათ ერთხელ
დაუტოვებიათ თავიანთი სახლ-კარი და ბედ-
ნიერების საძებნელად წამოსულან თფილისში,
რცხვენიათ ტიტვლად და უსაშვალოდ სახლში

წასვლა. ამიტომ იგინი ისევ **თუილისში** ამგვარ მდგომარეობასა და სიკვდილსაც ამჯობინებენ, ვიდრე შინ ურიგოდ დაბრუნებას. ამგვარად ილუპებიან **თუილისში** მრავალი იმერელი ახალგაზდები! ისინიც, რომელიც ბრუნდებიან იმერეთში, რადგანაც შრომასა გადაჩვეულან, თავიანთი მოქმედებითა და ყოფა-ქცევით უფრო ენებას აძლევენ იმ საზოგადოებას, სადაც ისინი ცხოვრობენ, ვიდრე სარგებლობას.

ეს სამწუხარო მოვლენა არის და უჭველია ძლიერ ცუდი შედეგიც ექნება, თუ დროთი არაფელი ეშველა ამ საქმეს მაგრამ რა უნდა ეშველოს?

IV.

რა მიზეზია, მკითხველო, რომ იმერლები **თუისლში** ზემო მოხსენებული ხელობის გარდა სხვა საქმეს თითქმის არაფელს კიდებენ ხელს? რატომ, მაგ., არაფელ ხელოსნობას არ სწავლობობენ? ჩვენ ვიცით, რომ უმეტესი ნაწილი იმ ახალგაზდა იმერლებისა, რომელებიც **თუილისში** ჩამოდიან, ორი დასამი წელიწადი უჯამაგიროდ ემსახურებიან თავიანთ ალებს, რომელნიც იმათ გამონაცვალი ტანისამო სისა და მონარჩენ საქმლის გარდა არაფელს არ

აძლიერენ **ცხადია**, რომ ამგვარივე პირობით იმათ ადვილად შეეძლოთ დამდგარიყვნენ ისეთ ადგილს, სადაც იმათ ორი და სამი წლის განმავლობაში შეეძლოთ შეესწავლათ ერთი რომელიმე ხელოვნობა, მაგ., ხარაზობა, ტერძობა ღურგლობა, ხუროობა და სხვ. ამას გარდა იმ ახალგაზდა იმერლებს, რომელთაც წერა-კითხვა იციან (ამ გვარი პირები იმათ შორის მომეტებული ნაწილი არიან) შეეძლოთ სხვა სასარგებლო რაიმე საქმე შეესწავლათ, როგორც მაგ. ვაჭრობა, მესტამბობა და სხვ. რაღა თქმა უნდა, რომ ამგვარი საქმის შესწავლით იმათ უფრო ადვილად შეეძლოთ თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესობა და დაეღწიათ თავი იმ სამწუხარო ბედისაგან, რომელშიაც ისინი ეხლა იმყოფებიან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ იმერელი ყმაწვილები დიდი სიხარულით მოჰკიდებდნენ ხელს ყოველგვარი ხელოვნობის შესწავლას, მეტადრე მაშინ, როცა ისინი იმერეთიდან **თფილისში** პირველად ჩამოდიან და ჯერ კიდევ წამხდარი ზნისა და ხასიათის არ არიან, მაგრამ რა ქმნან საწყობებმა, რომ თვითონ არა გაეგებათ რა და გზის მაჩვენებელიც მათ არავინა ყავთ. **თუ** როგორ სასარგებლო იქნებოდა **თფილისში** მყოფი იმერლებისათვის ხელოვნობის, ანუ სხვა რომელი-

მე კეთილი საქმის შესწავლა, ამას ჩვენ ცხა-
დათ გვიმტკიცებს რამდენიმე მაგალითი. ჩვენ
ვიციტ რამდენიმე იმერლები, რომელნიც პირ-
ველად მოსამსახურებლად იყვნენ ოფილისში,
მაგრამ შემდეგ სხვა სასარგებლო საქმეს მო-
კიდეს ხელი, გონივრად წაიყვანეს საქმე და
ამისაგამო ეხლა მშვენიერად სცხოვრობენ და
ქონებაც შეუძენიათ.

Ⅴ.

ისე ბევრი არიან, როგორც ზევითა ვსთქვით,
ოფილისში იმერელი ბიჭები, რომ მათ ად-
ვილად შეედლოთ გაემართათ საკუთარი მო-
სამსახურების კანტორა, სადაც მიმართავენ
მოსამსახურების მძებნელები და ადგილის მძებ-
ნელები მოსამსახურებიც. კანტორა იქნებოდა
აქ შეამდგომლად და საქმის გარიგებისთვის,
მისდა სასარგებლოდ, შეედლოთ პირველებსა და
მეორეებსაც გადაეხადათ რამოდენიმე კაპიკი. ამ-
გვარი შემოსავალით დაკმაყოფილდებოდა კან-
ტორის გასამართავი ხარჯი. ჩვენ დარწმუნე-
ბული ვართ, რომ მის ნაცვლად, რომ ეხლა
ვილაც ოხერი დალაღები ახთევიწყებენ ორთავ
პირებს—მოსამსახურის მძებნელებსაც და მო-
სამსახურებსაც, თითო და ოროლ მანეთს, ისი-

ნი ამ ფულს მოსამსახურების საზოგადოების კანტორაში უფრო სიხარულით მისცემდნენ, რადგანაც ეცოდინებოდათ, რომ კანტორა მოსამსახურების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად იქნებოდა დაფუძნებული. მართალია ეხლაც არის **თფილისში** მოსამსახურების, კანტორა, მაგრამ ამას სულ სხვა ნაირი დალალოური ხასიათი აქვს.

მოსამსახურების კანტორას შეეძლო დაედო წესად, რომ ყველა მოსამსახურეს, ვინც კი მის წევრობას ისურვებდა შეეტანა მისდა სასარგებლოდ თავისი ჯამაგირის შეათელი ნაწილი (თუმანზე ერთი მანეთი) მაგიერად კანტორას უნდა ეზრუნა თავისი წევრებისთვის, რომ ისინი უადგილოდ არ დარჩენილიყვნენ, რომ ავათმყოფობის დროს მოურებლად და უპატრონოდ არ მომკვდარიყვნენ და უკანასკნელ რომ გონებით და ზნეობით ისე არ დაცემულიყვნენ და წამხდარიყვნენ, როგორც ეხლა ჰხდებიან.

ამგვარი წყობილობით, ვინ იცის, იქნება ისე კარგა წასულიყო მოსამსახურეების საქმე და ისე გადიდებულიყო იმათი სახსარი, რომ მათ შეეძლებოდათ სამოსამსახურო უკოლის გახსნა **თფილისში**, რომელშიდაც ივლიდნენ

ახალგაზდა მოსამსახურები თავისუფალ დროს, სადილს უკან, და იმ დროს, რომელსაც ეხლა იგინი უქმად ლაზღანდარობაში, მასხარობაში და ქუჩებზე თრევაში კარგვენ, სწავლაში მოიხმარდენ. შკოლაში შეეძლოთ ესწავლათ იმათ, კითხვისა და წერის გარდა, სხვა ხელობაც. შინც კი ახალგაზდა იმერლების ხალისი და ლტოლვა იცის სწავლისადმი, ის ადვილად წარმოიდგენს მას, თუ რა სურვილითა და ერთგულებით ივლიდნენ ოფილისში მყოფი იმერლები ამ გვარ შკოლაში და მაშასადამე რა გავლენა ექნებოდა ამას იმათ გონებითი და ზნეობით მდგომარეობაზე. ეს ბევრად გააუკეთესებდა აგრეთვე იმათ მატერიალურ მდგომარეობასაც.

ოფილისში, როგორც ვიცით, ძრიელ ძვირი არიან რიგიანი და საქმის შკოდნე მოსამსახურები, ამიტომ თუ კი ოფილისში მყოფ იმერელ მოსამსახურებს, თავიანთ გარჯასთან და სიმარჯვესთან, კარგი ზნე და ცოტა საქმის ცოდნაც ექნებოდათ, მაშინ იმათი დამჭერი მსურველებიც ბევრი გამოჩნდებოდნენ და ქირაც ბევრად მოემატებოდა იმათ შრომას. მხლა იმერელი ბიჭები ოფილისში მიტომაც ვერ მოუულობენ ერთი მხრით კარგ

ადგილებსა და ალებს, რომ იმათზე ექვი აქვთ: ვაი თუ გაგვქურდონ და გაიპარონო, რადგანაც ამგვარი ანბავი ძრიელ ხშირად ხდება ხოლმე ყხლა. ხოლო თუ კი კანტორა იქნებოდა იმათგან შემდგარი, მაშინ თვით კანტორას ექნებოდა პირდაპირ საქმე მოსამსახურების დამჭერთან და პასუხის მგებელიც ესვე ექნებოდა, თუ მისგან დაყენებული ბიჭი რასმე ცუდს ჩაიდენდა აღის ოჯახში. იმ შემთხვევაში უეჭველია რიგიანი დანდობა და რწმუნება ექნებოდათ იმერელ ბიჭებზე თუილისის მცხოვრებლებს და ხეირიან ჯამაგირსაც გამოიმეტებდნენ მათთვის. ამას გარდა ამგვარი წყობილება დიდ შემწეობას აღმოუჩენდა ეგრეთვე იმ ხამ ბიჭებს, რომელნიც პირველად ჩამოდიან იმერეთიდან და, რადგანაც არ გაეგებათ რა და არც ვინმე პატრონი ჰყავთ, იძულებული არიან, როგორც ზევით ვილაპარაკეთ, პირველადვე შემოიხვდნენ პირებს დაუდგენ და ორი ანუ სამი წელი ცუდათ გაატარონ მის ხელში. ამ ახალ ჩამოსრულს პატარა იმერლებს შეეძლოთ მაშინ, თუ კანტორა არსებობდეს, პირდაპირ კანტორაში მისულიყვნენ, რომელსაც შეეძლო მიეცა მათთვის დარიგება და ისეთი ადგილები ეშოვა, სადაც ქირა თუ არ ექნებოდათ პირველათ,

ზნით მაინც არ გაფუჭებულიყვნენ და ცოტა რამე სწავლა ან გამოცდილება შეეძინათ.

ბოლოს იქნება ამ მოსამსახურების ერთობის საქმე რომელზედაც ეხლა ჩვენ ვლაპარაკობთ, ისე კარგა წასულიყო **თფილისში**, რომ მას თავისი კასა გაემართა და ამგვარად გაეუმჯობესებია, რამდენათაც შესაძლებელი იქნებოდა, თავისი წევრების მოსამსახირეების მდგომარეობა. ხოლო თუ ეს შესაძლებელი არ არის და როგორც ეხლა მიდის იმათი საქმე და მდგომარეობა **თფილისში**, სულ ასე დარჩება, ბევრათ უმჯობესია, რომ ის ახალგაზდა **იმერელი** ბიჭები, რომელნიც აქ ჩამოდიან და საუკუნოთ ფუჭდებიან და ილუპებიან უპატრონოთ, თავიანთ სამშობლოში დარჩენ და იქ იშრომონ შეძლებისადა გვარად...

წყალტუბელი.

თფილისი 1872 წ.

947.922

ნ 724

შახნი ეართი შაჟანი